ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N162/2

ქ. ხობი 12 ოქტომბერი 2012 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N33030862, სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE 22; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის გამგებლის გოგა ღურწკაის სახით

და მეორეს მხრივ შპს „გვაზა" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი ქ. სენაკი ღვინჯილიას N1-ა ტელ:571431517; 577431517; 0413-22-17-19; საიდენტიფიკაციო კოდი: 239894094; ანგარიშის ნომერი: GE62LB0113184643285000; ბანკი: ს.ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22; მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის კობა გვაზავას სახით

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 **ხელშეკრულების ობიექტია:** ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის წყლის საქაჩი აპარატის (მოტოპომპის)შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 კლასიფიკატორის კოდი:42122130;

1.3 ხელშეკრულების ობიექტის ჩამონათვალი რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მიხედვით მოცემულია დანართში(ინვოისი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გათვალისწინებით)შეადგენს **850.00** (რვაას ორმოცდაათი ლარი) ლარს.

აქედან:

1.პომპა ZB50 - 415 ლარი.

2.პომპა ZB80 – 435 ლარი.

3. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განაზღვრულ ნორმებს და სტანდარტებს.

3.2 შესყიდული საქონლის(წყლის საქაჩი აპარატის (მოტოპომპის))საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთ) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული

წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის" მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

5.2 მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) დღეში.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, „ მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია) , ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და გაწეული მომსახურების შესახებ მიღება- ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20(ოცი) დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.4 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა,- ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
9.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
9.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორსმაჟორული სიტუაციები -

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტის დაუბრუნებლობას , თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლისათვის მიზნებისათვის „ფოსმაჟორი "ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლოისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს , რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით ,კარანტიით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფოს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს. იგი თავისი შეხედულებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთნ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით, გარდა საგარანტო ვალდებულებების, რომელიც ძალაში შედის საქონლის მიღებიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის განმავლობაში.

12.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

13. დავების გადაწყვეტის წესი

ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი.

15 . დასკვნითი დებულებანი

15.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოს მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

საფუძველი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის გ. არაჩემიას მოხსენებითი ბარათი(N1668 10.10.2012წ.)

მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. გამგებლის მოადგილე: მ. ბოკუჩავა
2. გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი: გ. არაჩემია
3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა
4. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შონია
5. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი : ჯ. ბერაია

მხარეთა ხელისმოწერა და ბეჭედი

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხობის მუნიციპალიტეტის	შპს „გვაზა“-ს
გამგებელი	დირექტორი
გოგა ღურწკაია	კობა გვაზავა

შპს "გვაზა"
"GVAZA" LTD

ფერმერთა მომსახურების ცენტრი

ინვოისი

თარიღი	ინვოისის №
10.10.12	36

გადამხდელი: *ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახური*
ანგარიშსწორების ანგარიში -
მისამართი : ხობი, თავაიშვილის 1
საიდენტიფიკაციო კოდი: 244688600

(ლარში)

№	საქონლის (მომსახურების) დასახელება	რ-ბა	ზომის ერთ	ერთ ფასი	სულ თანხა
1	ბომბა ZB50	1	ც	415	415
2	ბომბა ZB80	1	ც	435	435
	სულ				850

თანხა სიტყვიერად: რვაასორმოცდაათი ლარი

შპს "გვაზა"	შ.პ.ს. „გვაზა“
ს/კ 239894094	ს/კ 239894094
სს "საქართველოს ბანკი"	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში	ანგარიშსწორების ანგარიში:
№ GE68BG0000000205606800	GE62LB0113184643285000

კობა გვაზავა

239894094

შპს "გვაზას" დირექტორი

საქართველო, სენაკი, ღვინჯილიას ქ. №1-ა, ტელ 0413 221719, 571 431517 ელფოსტა fermer.gvaza@mail.ru